თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N9

ქ. თელავი 2019 წლის 15 ივლისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, არჩილ თვალიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი, საკრებულოს ფრაქცია ''ქართული ოცნება - მრეწველები'' -ს თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს წევრი აბრამ მახარიაშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები''-ს თავმჯდომარის მოადგილე გიგა მამუკელაშვილი, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი, საკრებულოს წევრი ლევან მრელაშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი''-ს წევრი იოსებ პარწიკანაშვილი, საკრებულოს წევრი ნიკოლოზ მაისურაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით ქსოვრელიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ფიქრია ყურშიტაშვილი, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების

კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ლია ფარსადანიშვილი, მოქალაქე მაკა მოსიაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N19 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N19 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ეხება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ პროექტებში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილება შედის სოფელ იყალთოს, სოფელ კონდოლისა და სოფელ ლეჩურის პროექტებში.

დავით ქსოვრელიშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ იყალთოში ცვლილებამდე გათვალისწინებული იყო ორი პროექტის განხორციელება 1. სკოლიდან ცენტრალურ გზამდე 250 მეტრ მანძილზე წყლის ქსელის ამოცვლა; 2. იყალთოს აკადემიასთან არსებული წყაროს რეაბილიტაცია. თითოეული მათგანის ღირებულებაა 15.000 ლარი. მერიის მიერ შესყიდული იქნა სკოლიდან ცენტრალურ გზამდე 250 მ. მანძილზე წყლის ქსელის ამოცვლის პროექტი, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 30 000 ლარი. ვინაიდან სოფელ იყალთოს დასახლებაში საერთო კრების კენჭისყრის შედეგების მიხედვით უპირატსობა მიენიჭა წყლის ქსელის ამოცვლის პროექტს აკადემიასთან არსებული წყაროს

რეაბილიტაცია აღარ განხორციელდება და მისთვის გათვალისწინებული თანხა ემატება წყლის ქსელის ამოცვლის პროექტს.

სოფელ კონდოლში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია 30. 000 ლარი, რომელიც გადანაწილებული იყო 3 პროექტზე 1. საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა და შიდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება - 20 000 ლარი. 2. სკვერის მოწყობა - 6000 ლარი. 3. სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა - 4000 ლარი. თელავის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო ბიუროს მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით სკვერის მოწყობას ესაჭიროება 10 000 ლარი, რის გამოც პრიორიტეტებიდან გამომდინარე სასაფლაოს შემოღობვა აღარ განხორციელდება და მისთვის გათვალისწინებული თანხა 4000 ლარი დაემატება სკვერის მოწყობას.

სოფელ ლეჩურში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 15 000 ლარი, რომელიც გათვალისწინებული იყო ორ პროექტზე 1. ამხანაგობის ტრაქტორის შეკეთება -6000 ლარი 2. სკვერის მოწყობა 9000 ლარი. პროექტების განხორციელებამდე მოძიებული იქნა შესაკეთებელი ტრაქტორის სარეგისტრაციო მოწმობა და დადგინდა, რომ ტრაქტორი წარმოადგენს კერძო პირის საკუთრებას, რის გამოც მისი შეკეთება ვერ მოხდება, ამიტომ ტრაქტორის შეკეთებისათვის გათვალისწინებული თანხა 6000 ლარი ემატება სკვერის მოსაწყობად გათვალისწინებულ თანხას და განისაზღვრება 15 000 ლარით.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N19 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე _____ დავით ღაღანიძე